საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

# საინფორმაციო ფურცელი

# მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

**იანვარი, 2023**

1

## ნიდერლანდების მომხმარებელთა და ბაზრის უწყება (ACM)

GOOGLE

Google ამიერიდან მომხმარებლებს უკეთ და სრულყოფილად აცნობებს ინფორმაციას შესყიდვების თაობაზე Google Store-ის, Google Play Store-ის, Google Hotels-ის ან Google Flights-ის მეშვეობით. აღნიშნული საკითხი მოჰყვა ევროპული მარეგულირებლების ერთობლივ ქმედებას, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიდერლანდების და ბელგიის კონკურენციის უწყებები ევროკომისიასთან თანამშრომლობით. ეს ინფორმაცია მომხმარებელს აძლევს საშუალებას უკეთ და სრულად იყოს ინფორმირებული, სანამ გადაწყვეტს შესყიდვას ან სერვისით სარგებლობას.

ევროპულმა მარეგულირებლებმა გამოთქვეს საჭიროება Google- ის გამჭვირვალობის გაუმჯობესების თაობაზე. შესაბამისად, Google-ის ვალდებულებები ვრცელდება მთლიანად ევროკავშირზე.

Google-მა გააკეთა შემდეგი ცვლილებები, მათ შორის:

- Google უფრო მკაფიოდ გააცნობს მომხმარებლებს Google Hotels-ს და Google Flights-ის საბოლოო ფასებს, გადასახადებისა და სხვა დამატებითი ხარჯების შესახებ.

- Google შეზღუდავს თავის უფლებას ცალმხრივად გააუქმოს შეკვეთები ან შეცვალოს ფასები Google Store-ში. Google გაუადვილებს მარეგულირებლებს უკანონო კონტენტის შესახებ შეტყობინებას მისი წაშლის მიზნით.

- Google Store და Google Play Store მომხმარებლებს გაუადვილებენ გამყიდველის შესახებ ინფორმაციის გარკვევას. გამყიდველთან სატელეფონო კონტაქტს ასევე ხელს შეუწყობს გვერდის „Google Store-ის შესახებ“ გაფართოება.

- Google Store იქნება შესყიდვების განხორციელების შესაძლებლობა ევროკავშირის გადახდის ყველა მეთოდით.

- Google-მა უნდა გააუმჯობესოს გეო-დაბლოკვის წესების გამოყენება.

- Google-მა მომხმარებლებს უნდა მისცეს საშუალება ჩამოტვირთონ თავიანთი აპლიკაციები ევროკავშირის ნებისმიერ ადგილას. ეს ამჟამად ხშირად ვერ ხერხდება.

სულ უფრო მეტი მომხმარებელი ყიდულობს ონლაინ პროდუქტებსა და სერვისებს. ამას დიდი სარგებელი მოაქვს, მაგრამ მომხმარებლებს სჭირდებათ დაცვა ციფრული რისკებისგან. ციფრული ეკონომიკა მნიშვნელოვანი დღის წესრიგის თემაა ACM-თვის 2023 წელს.

[წყარო:]

## ნიდერლანდების მომხმარებელთა და ბაზრის უწყება (ACM)

2

### RYANAIR-ის შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკა

საკითხი ეხება CO2-ის კომპენსაციის (ნახშირბადის კომპენსაციის) სქემას, რომელსაც Ryanair სთავაზობს მომხმარებლებს ბილეთების ონლაინ დაჯავშნისას.

CO2-ის კომპენსაციასთან დაკავშირებული განცხადებები უნდა იყოს სწორი, ნათელი და სრული. მომხმარებლისთვის ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ ხდება CO2 კომპენსაცია, რამდენი CO2 არის კომპენსირებული, როგორ გამოითვლება ეს და არის თუ არა სერტიფიცირებული. ACM ახორციელებს ამ წესების დაცვას. ACM-მ ჩაატარა მოკვლევა ავია ინდუსტრიაში „CO2-ის კომპენსაციის მოთხოვნებთან“. მისი ერთ-ერთი დასკვნა იყო ის, რომ Ryanair-მა გამოიყენა ისეთი განცხადებები, როგორიც არის ‘Fly greener“, ამ განცხადებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ მომხმარებლებს ეკოლოგიურად ფრენა Ryanair-ით. Ryanair-მა შემდგომში ითანამშრომლა უწყებასთან და განახორციელა ცვლილებები განცხადებებში, რომელიც განთავსებული ჰქონდა თავის ვებსაიტზე, რათა თავიდან აეცილებინა შესაძლო შეცდომაში შემყვანი პრაქტიკა.

მომხმარებელს უნდა შეეძლოს მდგრადი არჩევანის გაკეთება თავდაჯერებულად. უწყების წინა კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლებს არ ესმით ნახშირბადის ოფსეტური განცხადებები. მომხმარებლები არ არიან ერთადერთი, ვინც უნდა იყოს დაცული შეცდომაში შემყვანი განცხადებებისგან. ბიზნესები, რომლებიც ახორციელებენ

მდგრადობის მცდელობებს, დაცული უნდა იყვნენ იმ ბიზნესებისგან, რომლებიც უსამართლოდ კონკურენციას უწევენ შეცდომაში შემყვანი განცხადებების გამოყენებით.

**წყარო:**

## ევროკომისია

1

### მანიპულაციური ონლაინ პრაქტიკა

ევროკომისიამ და 23 წევრი სახელმწიფოს მომხმარებელთა დაცვის ეროვნულმა უწყებამ, ნორვეგიამ და ისლანდიამ (CPC ქსელი) გამოაქვეყნეს საცალო ვაჭრობის ვებსაიტების სკრინინგის შედეგები. ეს შემოწმება მოიცავდა საცალო ვაჭრობის 399 ონლაინ მაღაზიას, რომლებიც ყიდიან პროდუქტებს დაწყებული ტექსტილიდან დამთავრებული ელექტრონულ საქონლამდე. იგი ასევე ფოკუსირებულია სამ სპეციფიკურ მანიპულაციურ პრაქტიკაზე, რომლებიც უბიძგებს მომხმარებლებს არჩევანის გაკეთებაში, რომელიც შეიძლება არ იყოს მათ საუკეთესო ინტერესებში, ესენია: ყალბი ათვლის ქრონომეტრები; ვებ ინტერფეისები, რომლებიც შექმნილია იმისთვის, რომ მომხმარებლები მიიყვანონ შესყიდვებამდე, გამოწერამდე ან სხვა არჩევანზე; და ფარული ინფორმაცია. მოკვლევამ აჩვენა, რომ 148 საიტი შეიცავდა ამ სამი ნიმუშიდან მინიმუმ ერთს.

უწყება დაუკავშირდება დაინტერესებულ მოვაჭრეებს მათი ვებსაიტების გამოსასწორებლად და საჭიროების შემთხვევაში შემდგომი ზომების მისაღებად, მათი ეროვნული პროცედურების შესაბამისად.

გარდა ამისა, კომისია აგროვებს გამოხმაურებას სამ დირექტივაზე, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებელთა დაცვასთან, რათა დაადგინოს, უზრუნველყოფენ თუ არა ისინი დაცვის მაღალ დონეს ციფრულ გარემოში: უსამართლო კომერციული პრაქტიკის დირექტივა, მომხმარებელთა უფლებების დირექტივა და არასამართლიანი კონტრაქტის პირობების დირექტივა.

**წყარო:**

## სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

1

### საქმისწარმოება სამი კომპანიის წინააღმდეგ

სომხეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ დაიწყო საქმის წარმოება "Aparani Cheese Factory", "Arban" და "Arzni Dairy“ წინააღმდეგ, მცენარეული ზეთის არაჟნად მარკირებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებით, რაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა და ასევე სავარაუდოდ, შეიძლება შეიცავდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს.

კერძოდ, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად აღმოჩენილია მცენარეული ზეთი სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით 400 გრამიანი წონით, სხვადასხვა პროცენტული ცხიმიანობით, რომლებიც არ აკმაყოფილებს საბაჟო კავშირის ტექნიკური რეგლამენტის „რძისა და რძის პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნებს „არაჟანი“ პროდუქტის მიმართ. ანუ მცენარეული ზეთის არსებობისას პროდუქტი არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს არაჟნად აღნიშნული რეგულაციის გაგებით.

[წყარო:]

## მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)

1

### ანტიდემპინგური ქეისი ჩინეთის წინააღმდეგ

დავების მოგვარების ორგანოს (DSB) შეხვედრაზე, WTO წევრები დათანხმდნენ ევროკავშირის თხოვნას დავის პანელების შექმნის შესახებ, რათა გამოიკვლიონ ჩინეთის ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქონლითა და სერვისებით ვაჭრობაზე ლიეტუვასთან, ისევე როგორც ჩინეთის მიერ ინტელექტუალური საკუთრების აღსრულების უფლებებზე.

ევროკავშირის პირველი მოთხოვნა ჩინეთმა დაბლოკა DSB-ის წინა შეხვედრაზე. ევროკავშირის თანახმად, ჩინეთს არ მოუხსნია დისკრიმინაციული და იძულებითი ღონისძიებები. ევროკავშირმა განაცხადა, რომ მას უფლება აქვს დაიცვას თავისი წევრი ქვეყნები ჩინეთის დისკრიმინაციული ზომებისგან, რომელიც მას მიაჩნია, რომ არღვევს WTO-ს წესებს.

DSB დათანხმდა პანელის შექმნას. შეერთებული შტატები, ნორვეგია, შვეიცარია, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, ჩინეთის ტაიპეი, ინდონეზია, რუსეთი,

ბრაზილია, იაპონია, კორეა, კანადა, კოლუმბია, ვიეტნამი და ინდოეთი იტოვებენ მესამე მხარის უფლებას მონაწილეობა მიიღონ სამართალწარმოებაში.

[წყარო:]

## დანიის კონკურენციის და მომხმარებელთა უწყება

1

### კარტელი

ხუთი კომპანია დაჯარიმდა ბიზნეს კონცეფციის Nye Visioner-ის ფარგლებში კარტელური თანამშრომლობისთვის. ხუთმა კომპანიამ აღიარა, რომ დაარღვია კონკურენციის კანონი Nye Visioner-ის ბიზნეს კონცეფციის ფარგლებში ფასების გაზიარების შესახებ შეთანხმებების გაფორმებით. კომპანიები დაჯარიმდნენ 6,000-64,000 DKK ოდენობით.

ამ დროისთვის დაჯარიმებული კომპანიები არიან:

**NYE Visioner v/Jens Dahlsgaard**

**Nye Visioner v/Dorthe Ribergaard Vinther**

**NYE Visioner v/Stina Duevang**

**NYE Visioner v/Pia Ulsing**

**NYE Visioner v/Bjarke Elbert**

ჯარიმები შემოიფარგლება იმით, რომ ჯარიმები არ უნდა აღემატებოდეს თითოეული კომპანიის ბრუნვის 10 პროცენტს, გადაწყვეტილების მიღების სამუშაო წელს. გარდა ამისა, მხარეებმა აღიარეს კონკურენციის წესების დარღვევა და ითანამშრომლეს უწყებასთან.

დანიის კონკურენციისა და მომხმარებელთა უწყება აგრძელებს მოკვლევას, არის თუ არა სხვა კომპანიებიც Nye Visioner-ის ბიზნეს კონცეფციის ფარგლებში უკანონო შეთანხმებების ნაწილი.

[წყარო:]

## ავსტრიის კონკურენციის ფედერალური უწყება (AFCA)

1

### ელექტროენერგიის და გაზის ბაზარი

E-Control-მა და AFCA-მ შექმნეს სამუშაო ჯგუფი ელექტროენერგიის და გაზის ბაზარზე არსებული სიტუაციის გამოსაკვლევად. სამუშაო ჯგუფი დააკვირდება ენერგეტიკულ ბაზრებს მეტი გამჭვირვალობის მიზნით.

ელექტროენერგიის და გაზის ბაზრები ძალიან ცვალებადია. ბაზარზე ფასები გაიზარდა 2021 წლის ბოლოდან, რაც მომხმარებლებზე ნეგატიურად აისახა. ელექტროენერგიასა და გაზზე საბითუმო ფასები ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში კვლავ მნიშვნელოვნად იკლებს, თუმცა, როგორც E-Control-ის, ისე ავსტრიის ფედერალური კონკურენციის ორგანოს (AFCA) მიერ მიღებული საჩივრებისა და მოთხოვნების რაოდენობა კვლავ იზრდება. მომხმარებლები განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან არსებული და ახალი მომხმარებლებისთვის ფასების განსხვავებით, ისევე როგორც სხვადასხვა მომწოდებლისგან ენერგო შეთავაზებების ცვალებადობით.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფასების დაფიქსირებულმა შემცირებამ მომხმარებელთა ჯიბეამდე მიაღწიოს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ კონკურენცია ლიბერალიზებულ ენერგეტიკულ ბაზარზე იყოს ეფექტური და კარგად იმუშაოს. რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე მთლიანად ეკონომიკისთვის.

პირველადი დასკვნა წარმოდგენილი იქნება 2023 წლის მეორე კვარტალში. სამუშაო ჯგუფი მზად არის გააკონტროლოს ბაზარი 2024 წლის შუა რიცხვებამდე (როდესაც დასრულდება ენერგიის ფასის ლიმიტი).

[წყარო:]

## ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC)

1

### FTC აქვეყნებს 2021 წლის ანგარიშს სიგარეტისა და უკვამლო თამბაქოს გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯების შესახებ

ფედერალური სავაჭრო კომისიის სიგარეტის ბოლო ანგარიშის მიხედვით, სიგარეტების რაოდენობა, რომლებიც შეერთებული შტატების უმსხვილესმა სიგარეტის კომპანიებმა მიყიდეს საბითუმო და საცალო მოვაჭრეებს ქვეყნის მასშტაბით, 203,7 მილიარდიდან 190,2 მილიარდამდე შემცირდა 2021 წელს.

სიგარეტის რეკლამასა და პოპულარიზაციაზე დახარჯული თანხა გაიზარდა 7,84 მილიარდი დოლარიდან 8,06 მილიარდ დოლარამდე 2021 წელს. სიგარეტის საცალო

ვაჭრობისთვის (6,01 მილიარდი აშშ დოლარი) და საბითუმო მოვაჭრეებისთვის (917 მილიონი აშშ დოლარი) ფასიანი ფასდაკლებები იყო 2021 წელს. ინდუსტრიის ხარჯების 86 % მოდიოდა.

უკვამლო თამბაქოს მწარმოებლებმა ასევე განაცხადეს, რომ 2021 წელს გაყიდეს 804,8 მილიონი დოლარის ნიკოტინის პასტილები, რომლებიც არ შეიცავს თამბაქოს, ხოლო 2020 წელს გაიყიდა 422,7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტი.

კომისია 1967 წლიდან პერიოდულად აქვეყნებს სიგარეტის ანგარიშს.

**წყარო:**

## ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC)

2

### FTC ეიმეხეარებლებს უბრუნებს 973,000 დოლარზე მეტს

ფედერალური სავაჭრო კომისია 17,064 ადამიანს უბრუნებს ჯამურად $973,000-ზე მეტ თანხას, რომლებმაც დაკარგეს ფული მას შემდეგ, რაც კომპანია „NutraClic"-მა ავტომატურად ჩამოაჭრა თანხები მომხმარებლებს დანამატებისა და სილამაზის პროდუქტების არასასურველ წევრობის პროგრამებში. კომპანიას ასევე შეცდომაში შეჰყავდა მომხმარებლები იმის შესახებ, თუ როდის უწევდათ საცდელი წევრობების გაუქმება ყოველთვიური გადასახადის თავიდან ასაცილებლად.

**წყარო:**

## პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

1

### 22 მილიონზე მეტი ჯარიმა სააბონენტო გადასახადების უკანონო ზრდის გამო

Vectra-მ ცალმხრივად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შეცვალა ხელშეკრულების დებულებები განუსაზღვრელი ვადით, შემდეგ კი უკანონოდ გაზარდა ინტერნეტისა და ტელევიზიის საფასური.

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისის პრეზიდენტმა გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც მან კომპანიას დააკისრა ჯარიმა,ჯარიმის რაოდენობამ 22 მილიონ PLN-ზე მეტი შეადგინა.

UOKiK-ის პრეზიდენტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების პირობების ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ამას პირდაპირ ითვალისწინებს. ამ ტიპის კონტრაქტებში ყოველი ცვლილება უნდა განხორციელდეს სათანადო მოდიფიკაციის პუნქტის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობები რა ვითარებაში შეიძლება შეიცვალოს.

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, Vectra-მ უნდა აცნობოს მომხმარებლებს მათი უფლების შესახებ სააბონენტო გადასახადის ანაზღაურების სახით.

**წყარო:**

## 1 იტალიის კონკურენციის უწყება

### საწვავის ფასი

დაწყებულია მოკვლევა და ჩატარდა ინსპექტირება შემდეგ კომპანიებში: Eni, Esso, IP, Kuwait Petroleum Italia და Tamoil.

მოკვლევის ფარგლებში გამოვლინდა დარღვევები ბენზინგასამართ სადგურებზე რეკლამირებულ ფასებთან შედარებით განსხვავებული ფასების დაწესებასთან და საწვავის ფასების ცვლილების შეუტყობინებლობასთან დაკავშირებით.

იტალიის კონკურენციის უწყებამ, Guardia di Finanza-ს სპეციალური ანტიმონოპოლიური განყოფილების დახმარებით, ჩაატარა ინსპექტირება Eni Spa, Esso Italiana Srl, Italiana Petroli Spa, Kuwait Petroleum Italia Spa და Tamoil Italia Spa-ის შენობებში. Guardia di Finanza-ს მხრიდან მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, საქმის წარმოება ასევე დაიწყო ათასზე მეტი ავტოგასამართი სადგურის მიერ საწვავის ფასების დადგენასთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, ნავთობკომპანიებმა სათანადო ყურადღება არ გამოიჩინეს თავიანთი სადისტრიბუციო ქსელების კონტროლის დროს. რიგ შემთხვევაში, იყო შეუსაბამობა რეკლამირებულ ფასსა და რეალურად დაწესებულ ყველაზე მაღალ ფასს შორის; სხვა შემთხვევაში შესაძლებელი გახდა დარიცხული ფასის გამოტანის იდენტიფიცირება ან ფასის მიწოდება პორტალ „Osservaprezzi Carburanti“-თვის, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ იპოვონ საწვავის სადგური, რომელსაც ექნება ყველაზე დაბალი ტარიფი.

როგორც ჩანს კომპანიებმა არ მიიღეს შესაბამისი ზომები ან ინიციატივები მსგავსი უკანონო ქმედებების პრევენციისთვის

**წყარო:**

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა დანიის, იტალიის, ნიდერლანდების, პოლონეთის, ავსტრიის და სომხეთის კონკურენციის  უწყებების ოფიციალური გვერდები. ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ფედერალური სავაჭრო კომისიის და ევროკომისიის ვებგვერდები.


(032) 244 07 70

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”, მე-10 სართული